

აღზრდის სტილის კავშირი შფოთვისთან ქართველ სტუდენტებში

მერი კაჭარავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია): კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რევაზ კორინთელი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მერი კაჭარავა, 21 ივნისი, 2018 წელი.

აბსტრაქტი

ოჯახური ინტერპერსონალური ურთიერთობები და აღზრდის სტილი მნიშვნელოვან როლს თამაშობს პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში. მშობლებისა და შვილის ურთიერთობაზე დიდადაა დამოკიდებული ბავშვის როგორც ემოციური და კოგნიტური სფეროს, ისე სტრესულ სიტუაციებთან გამკლავების უნარების განვითარება. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, იკვლიოს, თუ რა კავშირია აღზრდის სტილსა და შფოთვის შორის ქართველ სტუდენტებში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ქალაქ თბილისის უნივერსიტეტების 118-მა სტუდენტმა. საკვლევ ინსტრუმენტებად გამოყენებულია ბურის „მშობლის ავტორიტეტის კითხვარი“ (Parental Authority Questionnaire – PAQ) და სპილბერგერის სიტუაციურ-პიროვნული შფოთვის კითხვარი (STAI). აღზრდის სტილებსა და შფოთვის ტიპებს შორის კავშირის გამოსავლენად გამოყენებულია პირსონის კორელაციის კოეფიციენტი; აღზრდის სტილის პრედიქტული ღირებულების დასადგენად - მრავლობითი რეგრესია, ხოლო შფოთვის დონის მხრივ სქესთა შორის განსხვავების გამოსავლენად გამოყენებულია T-კრიტერიუმი. მიღებული შედეგები გვიჩვენებენ, რომ აღზრდის სტილებსა და შფოთვის შორის კავშირი არსებობს. თუმცა ეს კავშირი განსხვავდება აღზრდის სტილების, მშობლის სქესისა და შფოთვის ტიპების მიხედვით. კერძოდ, რაც უფრო მაღალია მშობლის ავტორიტეტულობისა და პერმისიულობის მაჩვენებელი, მით დაბალია სიტუაციური და პიროვნული შფოთვის დონე. ხოლო რაც უფრო მაღალია მშობლის ავტორიტარულობის მაჩვენებელი, მით უფრო მაღალია სიტუაციური და პიროვნული შფოთვის დონეც. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი პიროვნულ შფოთვისასთან არ გამოვლინდა მხოლოდ ავტორიტარული მამების შემთხვევაში. მრავლობითი რეგრესიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩვენს პოპულაციაში აღზრდის სტილი შფოთვის პრედიქტორი არ არის. შფოთვის მაჩვენებლების მიხედვით სქესთა შორის განსხვავება არ გამოვლინდა. კვლევის შედეგებს, შესაძლოა, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება ჰქონდეს ფსიქოლოგიის სფეროში მოღვაწე სპეციალისტებისა თუ

საკითხით დაინტერესებული პირებისთვის. წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი, შესაძლოა, ერთგვარი ტრამპლინი აღმოჩნდეს სამომავლო კვლევებისთვის. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქართველ მშობელთა ფსიქოგანათლებასა და მომავალი თაობის კეთილდღეობას.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: აღზრდის სტილი, შფოთვა, სიტუაციური შფოთვა, პიროვნული შფოთვა.

Abstract

Interpersonal relationships of family and parenting styles for raising children play one of the key roles in the development of personality. An Ability of overcoming stressfull situations and development of emotional and cognitive spheres are largely based on parents and childrens relationship. The aim of this study is to show the connection between parenting styles and anxiety in Georgian students. 118 students from state universities of Tbilisi, age ranged from 18 to 25, completed Buri's Parental Authority Questionnarie and Spielberger's STAI. To reveal the connection between parenting styles and anxiety types, we used Pearson corelation coeficient. Multiple regression methodology was used to find the predictive value of parenting style in case of state and trait anxiety. We used T-test to find out gender differences in both type of anxiety. Given results revealed statistically significant connection between parenting styles an anxiety. But this connection differs by parenting styles, gender of parent and type of anxiety. Authoritative and premissive parent's children tend to be less anxious, where children raised with authoritarian parenting style are more likely to have high level of state-trait anxiety. Aauthoritarian fathers' case was the exception where study couldn't find statistically significant connection to trait anxiety. With help of multiple regression methodology we can assure, that in our population parenting style can't be considered as predictor of anxiety. Research found no statistically significant differencies between genders according to anxiety scores. Results of this research might be theoretically or practically valuable for the professionals working in this field or for those who show interest in this particular subject. This work may also serve as a gateway to encourage further scientific research on this matter. Further research in this field has a potential to be used in psychoeducational training of Georgian parents, which in its own turn can have positive impact on future generations.

Keywords: Parenting Style, Anxiety, State Anxiety, Trait Anxiety.